

მრავლობითის ფორმათა სპეციფიკისთვის
არაბულში
ON THE SPECIFICS OF THE PLURAL FORMS IN ARABIC

ნინო ეჯიბაძე
Nino Ejibadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: არაბული, გრამატიკა, მორფოლოგია,
მრავლობითი, ნუნაცია
Keywords: Arabic, Grammar, Morphology, Plural, Nunation

მოხსენება კონცენტრირებულია მრავლობითის ფორმათა ზოგიერთ სპეციფიკურ შემთხვევაზე არაბულ ენაში. იგი ეფუძნება სალიტერატურო ენისა და არაბული დიალექტების მასალას, შედარებისთვის გამოყენებულია სხვა სემიტური ენების მონაცემებიც.

1. არაბულში სიმრავლის (resp. ერთზე მეტის) მარკერებია: სუფიქსური გრძელი ხმოვანი, *mīm*-ი, *nūn*-ი, ან ნიშნები, რომლებიც ერთდროულად ამ მორფთაგან ერთზე მეტს შეიცავენ. ზოგიერთ ფორმაში წარმოდგენილი დაღმავალი დიფთონგი, პრინციპული პოზიციებიდან, გრძელ ხმოვანთან შეიძლება გაიგივდეს, რადგანაც ასეთი დიფთონგი არაბულის ყოველ ფორმაში მონოფთონგიზაციას განიცდის ან ავლენს მონოფთონგიზების ტენდენციას. ბოლოკიდურ მოკლე ხმოვნებს, რომლებიც მრავლობითის მარკერების შემადგენლობაში შედის, სიმრავლის გამოხატვის ფუნქცია არ აკისრიათ, ამიტომ, მოცემულ კონტექსტში, შესაძლებელია მათი უგულებელყოფა.

2. პირის ნაცვალსახელები და ნაცვალსახელური სუფიქსები სიმრავლეს გამოხატავენ როგორც ზმნები და მათზე დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ ამოსავალი ფორმა ორობითსა და მრავლობითს შორის სწორედ მრავლობითია. მრავლობითისგან განსხვავებით, ორობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელები სქესს ვერ განარჩევენ სალიტერატურო ენაშიც კი, ხოლო არაბულის სხვა ფორმებში ორობითი რიცხვი მათ საერთოდ არ გააჩნიათ.

მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელები მომდინარეობენ მხოლობითის ფორმებისგან: III პირში მხ. რ., მამრობითი სქესი *huwa* > მრავლ. რ., მამრ. სქ. *hum*; მდედრობით სქესში – *hiya* > *hunna*. ყველა შემთხვევაში საერთოა III პირის ნიშანი *h*-. II პირში, მხ. რ., მამრ. სქ. *'anta* > მრავლ. რ., მამრ. სქ. *'antum*; მდედრობით სქესში – *'anti* > *'antunna*. I პირში მხ. რ. *'anā* > მრავლ. რ. *naḥnu*, შენარჩუნებულია I პირის ნიშანი *n*. მეორე *nūn*-ი ჩაითვლება სიმრავლის ნიშნად (შდრ. მდედრ. მრ. ფორმები).

ორობითი რიცხვის III პირის ნაცვალსახელი *humā* < მრავლობითი რიცხვის მამრობითი სქესის *hum* + *-ā*; ორობითი რიცხვის II პირის ნაცვალსახელი *'antumā* < მრავლობითი რიცხვის

მამრობითი სქესის 'antum + -ā; ორსავე შემთხვევაში ბოლოკიდური -ā ერთზე მეტის აღმნიშვნელი სუფიქსია.

საბოლოოდ, ფორმალური ანალიზი ცხადყოფს, რომ მხოლობითის ფორმები საფუძველს ქმნიან მრავლობითის ფორმებისთვის, და უკვე ისინი – საფუძველს ქმნიან ორობითის ფორმებისთვის; მაგ., huwa > hum > humā და მისთ. სხვა სიტყვებით: მხოლ. > მრავლ. > ორ. და არა ასე: მხოლ. > ორ. > მრავლ.

3. ეგვიპტის არაბულ დიალექტში (ზემოეგვიპტურის ზოგიერთ კილოკავში) ზმნის პერფექტივში, მრავლობითი რიცხვის მესამე პირის მამრობითი სქესის ფორმებში დასტურდება ბოლოკიდური -m: იგულისხმება ფორმა fa'al-u-m ნაცვლად ფორმისა fa'al -ū/u, ინტერესს იწვევს ამ mīm-ის ფუნქცია და წარმოშობა.

XX საუკუნის 50-იან წლებში შარბატოვმა ეს -m ჩათვალა ნაშთად ძველი სემიტური მიმაცისა, რომელმაც არაბულში ნუნაცია მოგვცა. შარბატოვის ეს მოსაზრება გაკრიტიკდა, რადგან მიმაცია, როგორც ნუნაცია, სემიტურ ენებში სახელისთვისაა დამახასიათებელი, და მისი კვალის აღმოჩენა ზმნაში საეჭვოდ იქნა მიჩნეული. სხვა მკვლევრები ან საერთოდ თავს იკავებენ ამ m-ზე საუბრისგან, ან მისი არსებობის ფაქტის კონსტატირებით შემოიფარგლებიან, რაიმე კვალიფიკაციის მიცემის გარეშე.

მოხსენებაში წამოყენებულია დებულება ამ -m-ს მრავლობითობის გამომხატველი ფუნქციის შესახებ და შემდგომ განხილულია ამ თეზისისა და შარბატოვისეული თეზისის თანხვედრის საკითხი.

უფრო დეტალურად: ფორმაში fa'al-ū ბოლოკიდური გრძელი ხმოვანი დამოკლდა (რაც ნორმაა არაბული ორთოეპიისთვის); ეს დამოკლებული ხმოვანი არ იქნა აღქმული მრავლობითის “საკმარის” მარკერად. შედეგად, საჭირო გახდა fa'alu ფორმაში სიმრავლის გამომხატველი დამატებითი ნიშნის მოტანა. ყველაზე ბუნებრივი ასეთი მარკერის პოზიციაზე იქნებოდა -m მრავლობითის გადმოცემის ცხადი ფუნქციით, და, ამავედროულად – ანალოგიით hum, entum, fa'altum და მისთ. ფორმებისა, რომლებშიც მრავლობითის ნიშანი არის სწორედ -m. საბოლოოდ, ბოლოკიდური mīm-ი საძიებელ ფორმაში – ესაა მრავლო-

ბითის მარკერი. შედეგად, მივიღეთ უღლების უნიფიცირებული ვარიანტი.

რაც შეეხება ამ პუნქტში წარმოდგენილი ორი, განსხვავებული, თეზისის თანხვედრას: არაბულ ტრადიციაში გარეგანი ფლექსიის ნიშნების დიფერენცირება პრაქტიკულად არ ხდებოდა/არ ხდება სიტყვის მორფოლოგიური კუთვნილების მიხედვით. თუ შევადარებთ ერთმანეთს ასეთ წყვილებს: mu'allimun – mu'allimūn, დავინახავთ, რომ მრავლობითის ფორმაში ბოლოკიდური -n არის მრავლობითის ნიშანი (გრძელ ხმოვანთან ერთად), ხოლო მხოლობითის ფორმაში – ბოლოკიდური -n არის ნუნაცია. შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ მრავლობითის -n, პრინციპული პოზიციებიდან, იმავე წარმოშობისაა, რაც მხოლობითის ნუნაციის -n? ასეთი ვარაუდი შეიძლება გაკრიტიკდეს იმ მოსაზრებით, რომ მრავლობითის -n უცვლელად რჩება როგორც status absolutus-ში, ასევე status determinatus-შიც. მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ, რომ status absolutus-ის ჩამოყალიბებისა და მასთან ნუნაციის მიბმის პროცესი გარკვეულ ეტაპებს მოიცავდა; ძველ იემენურ მეტყველებაში მორფოლოგიურად განსაზღვრულ სახელს ამავედროულად ნუნაციაც ერთვოდა: mani m-qā'imun (“ვინ დგას, ვინაა მდგარი”). მეორე მხრივ, status determinatus-ს შეიძლება უპირისპირდებოდეს status absolutus-ი მარკირებული ნულოვანი ნიშნით: mu'allim – al-mu'allim . სხვა სიტყვებით, სახელის განუსაზღვრელობის მარკირებისთვის არაბულის ყველა ფორმაში ნუნაცია არ იყო/არ არის აუცილებელი. თავის მხრივ, ნათქვამი იმასაც ნიშნავს, რომ ნუნაცია (როგორც მიმაციაც) არის ატრიბუტი, რომელიც არააუცილებლად მხოლოდ (განუსაზღვრელ) სახელებს აღნიშნავს. რამდენადაც არაბულში (და, ზოგადად, სემიტურში) ერთი და იგივე მარკერი შეიძლება ერთვოდეს სახელსაც და ზმნასაც, იმის ვარაუდიც შესაძლებელია, რომ fa'alum ფორმაში შარბატოვისეულ პოსტულატს სემიტური მიმაციის კვალის შესახებ სრულიად ობიექტური საფუძველი აქვს.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავლობითის გამომხატველი ბოლოკიდური -m ეგვიპტურ ზმნაში არის იგივე, რაც მრავლობითის გამომხატველი ბოლოკიდური -m სახელებში, მაგრამ, მეორე მხრივ ის ასევე შეიძლება ჩაითვალოს

სემიტურ მიმაციად/ნუნაციად, რომელიც სემიტური ენების ზოგ ფორმაში გაუქმდა, ზოგში კი დღემდე ფუნქციონირებს (al-fuṣḥā), თუნდაც რომ რედუცირებული სახით (სტანდარტ არაბული, არაბული დიალექტები).

ლიტერატურა:

- ლეკიაშვილი, ალ. (1970). ბრუნვათა სისტემა სემიტურ ენებში, თბილისი.
- ჟორდანია, ა. (1999). აფრიკის არამადრიბული ტიპის აღმოსავლეთ არაბული დიალექტების შეპირისპირებითი ანალიზი (ეგვიპტის, ჩადის, სუდანის დიალექტები), დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
- ჩიქოვანი, გ. (2002). შუა აზიის არაბული დიალექტები, კაშკადარიული დიალექტი, ფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკა, თბილისი.
- 'Abd 'al-'Azīz Maṭar (1981). lahjat^u l-badw' fī s-sāhil' š-šimāliyy' lijumhūrīyyat' Miṣr^a l-'arabīyya^{ti}, al-Qāhira.
- Fathī Buyūmī Ḥamūda (1985). al-mawrid^u fī n-naḥw' wa-ṣ-ṣaraf, al-juz'^u l-awwal^u.

The paper focuses on some specific cases of plural forms in Arabic. It is based on the material of the literary language and Arabic dialects; data from other Semitic languages are also used for comparison.

1. The following morphs act as plural markers (more than one) in the Arabic language: suffix long vowel, *mīm*, *nūn*, or markers consisting of more than one component named above. The descending diphthong presented in some forms can be equated with a long vowel from a principal position, as such diphthongs are monophthongized in all forms of Arabic or show a tendency to monophthongization. The final short vowels (which end plural markers) do not have the function of expressing plurality, so they can be ignored in a given context.

2. Personal pronouns and pronominal suffixes express plurality like verbs and the observation on it confirms that the source form between the dual and the plural, is exactly the plural, not the dual.

Unlike plural forms, dual forms of the pronouns do not distinguish genders even in literary language; in other forms of Arabic pronouns do not have dual forms at all.

Plural forms of the pronouns go back to the singular forms: sing. IIIp., masc. *huwa* > pl. *hum*; sing. IIIp. fem. *hiya* > pl. *hunna*. In both cases, we have common marker *h-* for the III person. Sing. IIp. masc. *'anta* > pl. *'antum*; sing. IIp. fem. *'anti* > pl. *'antunna*. We have a common marker *-nt-* for the II person. In I p. sing. *'anā* > *naḥnu*, is preserved I person marker *n*; the second *n* should be regarded as a sign of plurality.

III p., the dual pronoun *humā* < III p., masc., pl. *hum* + *-ā*; and IIp., dual pronoun *'antumā* < II p., masc., pl. *'antum* + *-ā*; in both cases final long vowel indicates more than one (in the given case, duality).

Finally, formal analysis confirms that the singular forms of pronouns provide the basis for the plural forms, and these, in turn, provide the basis for the dual forms. In other words: sing. > pl. > dual, and not as follows: sing. > dual > pl.

3. In some varieties of Egyptian Arabic (Upper Egyptian) in verbs, Perfective, III p., pl., final *mīm* appears (*fa'al-u-m*), the origin and function of which causes the interest. In the mid 20th century this *mīm* was regarded by Sharbatov as a remnant of old Semitic *mīmation*, but the supposition was followed by criticism, since *mīmation*, as *nūnation*, is a phenomenon characteristic of nouns and discovery of its trace in verbs was considered doubtful.

In the paper an opinion is suggested about the plurality function of the *-m*; further, the question of the coincidence of this thesis and the aforementioned thesis of Sharbatov is discussed.

In more detail: in the form *fa'al-ū* the final long vowel was shortened (which is the norm for Arabic orthoepy); this shortened vowel was not perceived as a “sufficient” marker of plurality. As a result, it became necessary to bring an additional sign of plurality. The most common in the given context would be exactly this *-m* with the explicit function of plurality, and, at the same time – by analogy with

the forms: *hum*, *entum*, *fa'altum*, etc. Finally, the suffix *mīm* under the current study is a marker of plurality. At the same time, as a result, a unified form of conjugation was created.

As for the coincidence of the two theses presented above:

In Arabic tradition, inflexion markers are not distinguished by morphological attachment of the word.

If compare the following pairs: sing. *mu'allim-un* > pl. *mu'al-lim-ūn*, we can observe that the long vowel *-ū* is practically the only distinguishing morph between the singular and plural forms; in both cases final *-n* appears, which functions in the Singular under the name *nunation*. But in fact, it can be regarded that *-n* in plural forms, from the principal point of view, has the same origin as in the singular *_nunation*. One may object, that *nunation* is characteristic of *status absolutus*, as for the plural, final *-n* in the plural remains even if *al-* of *status determinatus* is added (*al-mu'allim-ūn*). Here we must recall the fact that the establishment of *nunation* as a marker of *status absolutus* in Arabic had its development, and not always *nunation* was connected with *status absolutus* (cf. *mani m-qā'imun* "who is standing" in Yemeni Arabic). In other words, *nunation* is not required to indicate an indefinite status. The above-mentioned also means that *nunation* (/ *mimation*) is an attribute that designates not necessarily only (*status absolutus* of) nouns.

Since the same marker in Arabic (and Semitic, in general) can be attached to both verbs and nouns, it can also be permissible to suppose that in the form *fa'alum* under the current study, Sharbatov's "trace of old Semitic *mimation*" may have a realistic basis.

Finally, we presume, that final *-m* traced in Egyptian verbs (which functions in verbs as a plural marker) is the same as final *-m* in nouns (also with plural marker function), but on the other hand, it can also be regarded, that it is the same as Semitic *mimation/nunation*, which in some forms of Semitic languages has disappeared, while in some others still functions (in Arabic *al-Fuṣṣḥā*), even if in a restricted form (cf. Standard Arabic, modern Arabic dialects).

References:

- Lek'iashvili, Al. (1970). *brunvata sist'ema semitur enebshi*, Tbilisi. [Lek'iashvili, Al. (1970). *The declension system in Semitic languages*, Tbilisi].
- Jordania, A. (1999). *aprik'is aramaghribuli t'ipis aghmosavlet arabuli dialeqt'ebis shep'irisp'irebiti analizi (egvip't'is, chadis, sudanis dialektebi)*, A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philology, Tbilisi. [Jordania, a. (1999). *Contradictory Analysis of Non-Eastern African Dialects of Africa (Dialects of Egypt, Chad, Sudan)*, Dissertation for the degree of Doctor of Philology, Tbilisi].
- Chikovani, G. (2002). *shua aziis arabuli dialect'ebi, k'ashk'adariuli dialeqt'i, fonologia, gramat'ika, leqsik'a*, Tbilisi. [Chikovani, G. (2002). *Central Asian dialects, Kashkadian dialect, phonology, grammar, vocabulary*, Tbilisi].
- 'Abd 'al-'Aziz Maṭar (1981). *lahjatu l-badwi fī s-sāhili š-šimālīyyi lijumhūrīyyati Miṣra l-'arabīyyati*, al-Qāhira.
- Faṭḥī Buyūmī Ḥamūda (1985). *al-mawridu fī n-naḥwi wa-ṣ-ṣarafi*, al-juz'u l-awwalu .

**იბნ ჰაუკალის თხზულებაში მოცემული
გვიანდელი ჩანართები საქართველოს/
ქართველების შესახებ
LATE INSERTIONS ABOUT GEORGIA/
GEORGIANS GIVEN IN IBN HAWQAL'S BOOK**

**ომიკო ეჯიბია
Omiko Ejibia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იბნ ჰაუკალი, შუა საუკუნეები, ცნობები
საქართველოს შესახებ, ალ-ქურჯ
Keywords: Ibn Hawqali, Middle Ages, References about Georgia, al-Kurj